



## მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000037114182120

№ ს-99

22 / იანვარი / 2020 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**„მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ,,**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ პირველი მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლების საერთო კრება, დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100-მა ამომრჩეველმა, ხოლო დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, ამომრჩევლებთან გაიმართოს ასევე, კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200-მა ამომრჩეველმა.

2.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3.თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს #1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09:00 სთ-დან - 18:00 სთ-მდე, 2020 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ (ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე, მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვროს:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - გივი გიუტაშვილი, ტელეფონის ნომერი: 595-90-30-03;

ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნუგზარ ხუხუნაიშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-20-11-26;

გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ილია ჰიშკარიანი, ტელეფონის ნომერი: 577-600-355;

დ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქსნის ადმინისტრაციულ ერთეულში - გიორგი ჯიქია, ტელეფონის ნომერი: 599-294-633;

ე) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ციხისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში - დიმიტრი ნიჟარაძე, ტელეფონის ნომერი: 593-477-555;

ვ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი წეროვნის ადმინისტრაციულ ერთეულში - ზაზა როსტიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-319-010;

ზ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქსოვრისის ადმინისტრაციულ ერთეულში - თემურ მორბედაძე, ტელეფონის ნომერი: 599-565-773;

თ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ვაზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში - ზურაბ დალაქიშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-708-108;

ი) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მუხრანის ადმინისტრაციულ ერთეულში - გიორგი გაბარაშვილი, ტელეფონის ნომერი: 598-451-142;

კ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ძალისის ადმინისტრაციულ ერთეულში - დავით პავლიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-701-424;

ლ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი წილკნის ადმინისტრაციულ ერთეულში - რამაზ ანდრიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 595-204-443;

მ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მისაქციელის ადმინისტრაციულ ერთეულში - გიორგი ქაშიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 555-553-349;

ნ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნატახტრის ადმინისტრაციულ ერთეულში - რომან რომშიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 591-900-390;

ო) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი აღდგომლიანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში - მიხეილ უთრუგაშვილი, ტელეფონის ნომერი: 598-808-822;

პ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ბადრი უნდილაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-480-009;

ჟ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გალაგნის ადმინისტრაციულ ერთეულში - ივანე ობგაიძე, ტელეფონის ნომერი: 599-357-658;

რ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ცხვარიჭამის ადმინისტრაციულ ერთეულში - ლევან ბეგლარაშვილი, ტელეფონის ნომერი: 555-737-818;

ს) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ძეგვის ადმინისტრაციულ ერთეულში - კობა რთველიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-372-741;

ტ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ლისის ადმინისტრაციულ ერთეულში - ნუკრი ქობულაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-174-171;

უ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნიჩბისის ადმინისტრაციულ ერთეულში - დავით ხიზანიშვილი, ტელეფონის ნომერი: 599 -699-225;

ფ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ძველი ქანდის ადმინისტრაციულ ერთეულში - კობთა ბადალოვი, ტელეფონის ნომერი: 551-552-441;

ქ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნავდარაანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში - ელგუჯა ბითარიშვილი, ტელეფონის ნომერი: 595-114-000;

ღ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ჯილაურას ადმინისტრაციულ ერთეულში - მერაბ მახარაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599- 400-680;

ყ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ნავაზის ადმინისტრაციულ ერთეულში - ლაშა თადიაშვილი, ტელეფონის ნომერი: 599-888-006;

7.დამტკიცდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების გრაფიკი დანართი #1-ის შესაბამისად.


8.დამტკიცდეს საპროექტო წინადადებების ფორმა დანართი #2-ის შესაბამისად.

9.დამტკიცდეს საერთო კრების სხდომის/მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ოქმის ტიპური ფორმა დანართი #3-ის შესაბამისად.

10. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

11..ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

გიორგი კაპანაძე